



საინვესტიციო პროექტებში უცხოური ინვესტიციების დახანდელების ანალიზი

რეზიუმე

ალექო ქუთათელაძე

სტუ-ს პროფესორი

E-mail: a.qutateladze@banklabonline.com

თემატური მატუბა

სტუ-ს დოქტორანტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) თამაშობს ძალიან მნიშვნელოვან როლს გლობალური ბიზნესის ზრდაში. მას შეუძლია უზრუნველყოს კერძო თუ სახელმწიფო კომპანიები ახალი დაფინანსების წყაროებით, ახალი ბაზრითა თუ სავაჭრო პოტენციალის გაზრდით, იაფი წარმოების, ხელმისაწვდომობი ახალი ტექნოლოგიებით. ინვესტიციის მიმღები ქვეყანას თუ რეზიდენტ კომპანიას ეხსნება გზა ახალი ტექნოლოგიებისკენ, კაპიტალის, პროცესების, პროდუქციის, ორგანიზაციული მართვისა და ტექნოლოგიების ცოდნისკენ, და წარმოადგენს ძლიერ იმპულსს ეკონომიკური განვითარებისთვის.

უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო ბიზნესის გლობალიზაციაში ძალიან დიდ როლს თამაშობს, ის არ ცნობს გეოგრაფიულ საზღვრებს და არ ცნობს ჩარჩოებს, ზუსტად ამ გენერაციაში იქმნება ამონაგები ინვესტიციებიდან, როცა როგორც ინვესტიციის გამცემი, ასევე ბენეფიციარიც შესაბამის დოვლათს იღებს. ინვესტიციების განვითარება ხელს უწყობს მსოფლიო ბიზნესში ტარფიკაციის, კონონმდებლობის გადახედვა/მოდირფიცირებას, ის ახდენს როგორც წესი ინვესტიციის მიმღები ქვეყნის კანონმდებლობის ლიბერალიზაციას, პრივატიზაციის საჭიროებას და სახელმწიფოს ნაკლებ ჩარევას ერზო ბიზნესში.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო პროექტები, საერთაშორისო ბიზნესი, პორტფელური ინვესტიცია, ინტეგრაცია, საწარმო.

პირითადი ტექსტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განისაზღვრება, როგორც კომპანიის ფინანსური რესურსების დაბანდება სხვა ქვეყანაში წარმოების გასახსნელად, ასაშენებლად, ანუ თანხის ჩადება ახალ ქარხანაში, მანქანებში და მოწყობილობებში. ბოლო წლების განმავლობაში, გლობალური საინვესტიციო პროექტების დახვეწა განვითარების ფონზე ინვესტიციის განმარტებებიც მრავალფეროვანი გახდა, ინვესტიციები კომპანიის მართვაში, როცა ერთი ქვეყნის კომპა-

ნია ყიდულობს, ან ფულს დებს არარეზიდენტი კომპანიის მართვაში, სტრატეგიული ალიანსები, ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბება, სხვადასხვა ქვეყნების კომპანიებში აქციების, ოფციონების, ინტელექტუალური საკუთრებაში ფულის დაბადენდება თუ სხვა ფინანსური ინვესტიციები, აღნიშნული აერთიანებს პორტფელურ ინვესტიციებს, სადაც საქმე არ გავქვს მატერიალურ, ფიზიკურ მშენებლობასთან.

ყველაზე უფრო მკვეთრად ზემოთ აღნიშნული გავლენა ჩანს განვითარებად ქვეყნებში, სადაც ყოველწლიურად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდა საკმაოდ მნიშვნელოვანია: 70-იან წლებში საშუალოდ \$ 10 მილიარდით განისაზღვრა, ხოლო 80-იან წლებში საშუალოდ \$ 20 მილიარდით, 90 წლების ბოლოს ლამის აფეთქების ზღვარს მიაღწია - \$ 179 მილიარდადმე, 1998 წელს კი \$ 208 მილიარდით განისაზღვრა, 1999 წლიდან დღემდე საკმაოდ დიდი წილი უჭირავს მსოფლიოს საინვესტიციო მოცულობაში. ხდება კომპანიების შერწყმა, საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა. ეკონომიკურმა ზრდამ განვითარებადი ქვეყნებში ჩადებული ინვესტიცია 2014 წლის მდგომარეობით აიყვანა 681 მილიარდ დოლარამდე.

უცხოურ ინვესტიციებში უნდა გამოვყონოთ ინვესტიციის მიმღები და გამცემი მხარე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოწინააღმდეგენი აცხადებენ, რომ როგორც წესი გამცემი მხარე არის განვითარებული ქვეყნები და შესაბამისად მათ მიერ განვითარებად ქვეყნებში დიდი მოცულობით ინვესტიციები კლავს ადგილობრივ წარმოებას თუ ბიზნესს, რასაც ნაწილობრივ ვეთანხმები თუმცა აღნიშნული გარდუვალი პროცესია.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს შესაძლებლობას, რომ კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობაში და გაზარდონ მათი ზომა. ბოლო 15



წლის განმავლობაში, კლასიკური განმარტება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როგორც ზემოთ აღნიშნულ საგრძნობლად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2/3 მოდის კლასიკურ ფორმაში: წარმოებაში, მშენებლობაში და ზოგად მატერიალურ/ფიზიკურ საქმიანობაში დაბანდება, პორტფელურ ანუ არაპირდაპირ ინვესტიციებს, უმსხვილესი კომპანიების შერწყმა და კონგლომერატების შემქმნის ხარჯზე საკმაოდ დიდი მოცულობის კაპიტალი უჭირავს მსოფლიო საინვესტიციო ბაზრზე. ინტერნეტის განვითარება, კომუნიკაციის გამარტივება, ბიუროკრატიული ბარიერების დაწვეა და გლობალიზაცია დღითი დღე ასუსტებს ინვესტიციების კლასიკურ ფორმას. მრავალი ქვეყნის მთავრობები, განსაკუთრებით ინდუსტრიულად განვითარებული ერები, აქცევენ ძალიან დიდ ყურადღებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს, რადგან ინვესტიციების შემოდინება თუ გადინება ძალიან დიდი როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკური ანალიზის ბიურო, რომელიც წარმოადგენს შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის ერთერთ განყოფილებას, პასუხისმგებელია აწარმოოს ინფორმაციის შეგროვება, მონიტორინგი უცხოური ინვესტიციების შესახებ, აღნიშნული არამხოლოდ ესმარება აშშ-ის ეკონომიკას განსაზღვროს ტრენდები ბაზარზე, არამედ აკონტროლოს და სწორად გადაანაწილოს მისი რესურსები ეკონომიკის იმ დარგებში, რომელზეზეც მეტი წილი მოთხოვნა მოდის.

როგორ შეიცვალა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ბოლო ათწლეულის განმავლობაში?

როგორც ზემოთ აღინიშნა, აბსოლუტური უმრავლესობა უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისა მოდის საწარმოებისა და ზოგადად ახალის შექმნაში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სულ უფრო იზრდება ინვესტიციები ტექნოლოგიურ startups-ებში, ინტერნეტის გამოყენების კოლოსალურმა ზრდამ და მოთხოვნამ ხელი შეუწყო უცხოური ინვესტიციების სახეცვლილებას. ბევრი ეს მაღალტექნოლოგიური სტარტუპს კომპანიები ძირითადად მოდიოდა უნივერსიტეტების ან რაიმე კვლევითი დაწესებულებებიდან, ან მთავრობის მიერ დაფინანსებული მცირე საწარმოებიდან. განსხვავებით ტრადიციული მსხვილი საწარმოებისგან, ამ მცირე startup-ებს არ სჭირდებოდათ მსხვილი საწარმო და სასაწყობო ინფრასტრუქტურა. მეორე ტიპის კომპანიებია ის კომპანიები, რომელთა ძირითადი პროდუქტი ინტელექტუალური

საკუთრებაა და დაკავებულიები არიან პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიებში. მსგავსი კომპანიები შესაძლებელია განთავსებული იყვნენ ძალიან ლიმიტირებულ ფიზიკურ ადგილზე და არ საჭიროებენ მსხვილ საწარმო ფართებს და ინვესტიციებს მანქან-ადანადგარებში.

ხშირ შემთხვევაში, მსხვილი კომპანიები კვლავ თამაშობენ დომინანტ როლს მცირე და მაღალტექნოლოგიური კომპანიების საინვესტიციო საქმიანობაში. თუმცა, განსხვავებით წარსულისა, ეს დიდი კომპანიები არ ახდენენ მსგავსი მცირე კომპანიების სრულად შესყიდვას. ამისთვის არსებობს რამდენიმე მიზეზი, ტრადიციული საწარმოს შემთხვევაში პროდუქტი განსაზღვრულია და იდენტიფიცირებულია, მწარმოებელი ცდილობს მიუახლოვდეს ახალ ბაზარს და ცდილობს აიცილოს ბაზარზე შესვლის ბარიერი პირდაპირი ინვესტიციის სახით. აქ მხოლოდ ერთი რისკია, ვერ გაყიდო ბაზარზე იმდენი რამდენსაც აწარმოებ, ხოლო თუ მეტი მოთხოვნაა ვიდრე ყიდი, ამ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოების გაფართოება.

მაღალტექნოლოგიურ საწარმოში ინვესტიციას, როგორც წესი, გრძელი საინკუბაციო პერიოდი აქვს, რაც გამოწვეულია იდეის პროდუქტში გარდაქმნის დიდი დროით. ასეთ შემთხვევაში (პროგრამული და სხვა ინტელექტუალური საკუთრების ტიპის პროდუქტების შექმნის გზაზე) ის საკმაოდ პერიოდულად იცვლება მისი ბაზარზე განთავსებამდეც კი. ეს კი საინვესტიციო გადაწყვეტილებას ხდის უფრო რთულს. როცა ინვესტირებას ვახდენთ რეალურ, ტრადიციულ წარმოებაში, ცნობილია როდის და რამდენ პროდუქტს ვაწარმოებთ და რას მივიღებთ. როცა ინვესტირებას მაღალტექნოლოგიურ საწარმოში ვასრულებთ, ყოველთვის არის გაურკვევლობის, დაფარული რისკის ელემენტი. ამის კარგი მაგალითია dot.com-ის წარუმატებლობების ტალღა.

აქედან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციების მიმართულების არეალი ინტელექტუალური და მაღალტექნოლოგიური თემების მიმართ შეიცვალა. კომპანიები კვლავაც არიან დაინტერესებული ჩადონ ინვესტიციები მაღალტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ პროდუქტებში თუმცა შეცვალეს ანალიზის ბერკეტები. აღნიშნული ძალიან კარგი მაგალითია აკადემიურ წრესა და ბიზნესს შორის საღი ურთიერთობისა. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტებს მოეხსნათ სამართლებრივი შეზღუდვა, მათ დაიწყეს აწარმოონ კვლევები და გამოგონებები ბიზნესისთვის, რომელსაც ბიზნესი გამოიყ-



ენებდა პროდუქტის შექმნაში. გრანტებით, დამატებით, რასაც უნივერსიტეტის ლაბორატორიები იღებენ კერძო ბიზნესიდან თუ მთავრობიდან, კვლევებისთვის (R & D), ნამდვილ ინკუბატორად იქცა იდეების თუ კონკრეტული ქმედებებისა, რომელიც წარმატებულად იმპლემენტირდება სხვადასხვა ფიზიკური პროდუქტის წარმოებაში.

რატომ არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხილვა აუცილებელი მსოფლიოს ბაზარზე გასასვლელად?

მარტივი პასუხი არის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საშუალებას აძლევს კომპანიებს სრულფასოვნად მიაღწიონ რამდენიმე მნიშვნელოვან ამოცანას:

- თავიდან აიცილონ უცხო ქვეყნის მთავრობის წნეხი ადგილობრივი პროუქციის საწარმოებლად;
- თავიდან აიცილონ სავაჭრო ბარიერები (ფარული თუ ხიდული);
- გააქტიურონ ექსპორტი ადგილობრივი კომპანიის ხარჯზე;
- ქონდეთ შესაძლებლობა საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის;
- ჰყავდეთ თანამოაზრე და პარტნიორი, წარმოებაში, ლიცენზირებაში, რეკლამაში, მარკეტინგში და ა.შ.

უფრო სრულყოფილი პასუხი შეიძლება იყოს “იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად”. ეს ხშირად გამოიყენება როგორც კლიშე, თუმცა ეს პატარა და საშუალო ზომის კომპანიებში მუშაობს, რადგან მსხვილ და მულტინაციონალურ კომპანიებში მათ როგორც წესი ბაზრის ძირითადი წილი ისედაც უჭირავთ, ხოლო პატარა და საშუალო ბიზნესების ამოცანაა ამ ლიმიტირებულ თავისუფალ ბაზარზე ადგილი დაიჭირონ.

ახალ ბაზარზე გასვლაა მნიშვნელოვანი მიზეზი საზღვარგარეთ ინვესტირებისა. გარკვეულ ეტაპზე კომპანიის ექსპორტი აღწევს იმ ზღვარს რომ საექსპორტო ქვეყანაშივე გახსნა საწარმო და ეს უფრო ხარჯეფექტიანი ხდება. ანუ გათვლები, რომლის საფუძველზეც კომპანია დებს ინვესტიციას წარმოებაში საზღვარგარეთ, ვიდრე აწარმოოს რეზიდენტ ქვეყანაში, გაიტანოს ექსპორტუნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

- რესურსების შეფასება;
- კონკურენტუნარიანობის განსზღვრა;
- ბაზრის ანალიზი;
- მოლოდინები, პერსპექტივები ბაზრიდან.

რესურსების შეფასებისას უნდა განვასაზღვროთ ორი რამ: 1. უმაღლესი მენეჯმენტის

მყარი გადაწყვეტილება საზღვარგარეთ ინვესტიციების ჩადებაზე; 2. არის თუ არა კომპანიის ადამიანური რესურსი აღნიშნული ინოვაციისთვის მზად და შეძლებს თუ არა არსებული მენეჯმენტი „გაქანოს“ ცვლილება.

აქვს თუ არა კომპანიას შესწავლილი ახალი ქვეყნის რეგულაციები, ბარიერები, საფრთხეები და პოტენციალი. შესწავლილი აქვს თუ არა სათანადოდ დგილობრივი ბაზრის ნომენკლატურა, კონკრეტული საინტერესო ინდუსტრია, საგადასახადო და ზოგადად გადასახადების გარემო. აქვს თუ არა ინვესტიციის მიმღებ ქვეყანას ინვესტიციებზე სპეციალური კანონები. მნიშვნელოვანია აგრეთვე პოლიტიკური გარემოს შეფასება, როგორც მიმდინარე, ასევე სამომავლო პერსპექტივები თუ საფრთხეები. მსოფლიოს წამყვანი ინვესტიციების ბენეფიციარი ქვეყნები შემდეგნაირად გამოიყურება: **ჩინეთი, ჰონკონგი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, სინგაპური, ბრაზილია, კანადა, ავსტრალია, ინდოეთი, ჰოლანდია.**

წამყვანი ათი ინვესტორი ქვეყანაა: **აშშ, ჰონკონგი, ჩინეთი, იაპონია, გერმანია, კანადა, საფრანგეთი, ჰოლანდია, სინგაპური, ირლანდია.**

დღეს ამერიკული საწარმოები ლიდერობენ მაღალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და ინტეგრირების სფეროში - დაწყებული პროგრამული უზრუნველყოფით და ბიოტექნოლოგიებითა და ელექტრონული სისტემებით, ინოვაციური თუ ონლაინ ვაჭრობის, ე.წ. ელექტრონული კომერციით დამთავრებული. აშშ-მა 2014 წელს ინვესტიციის სახით სხვა ქვეყნებში ჩაღო 336 მილიარდი დოლარი, ხოლო სხვა ქვეყნებიდან მიიღო 92.4 მილიარდი აშშ დოლარი.

ჰონკონგმა სხვა ქვეყნებში დააბანდა 142.7 მილიარდი, ხოლო სხვა ქვეყნებმა დააბანდეს 103 მილიარდი, საინტერესოა რომ 1991 წელს ჰონკონგში ჩადებულმა FDI-მ ანუ ინვესტიციამ შეადგინა სულ რაღაც 2 მილიარდი აშშ დოლარი და მიუხედავად მსოფლიო კრიზისისა ზრდადი ტენდენცია აქვს შენარჩუნებული დღემდე.

ჩინეთი მესამე ადგილზეა როგორც მსოფლიო ინვესტორი, თუმცა პირველ ადგილს იკავებს ბენეფიციარ ქვეყნებში. ჩინეთი მისი ადამიანურ და ბუნებრივ რესურსებზე მაღალი ხელმისაწვდომობით და იაფი მუშა ხელით გამოირჩევა. ინვესტორებისთვის საინტერესოა აგრეთვე ტექნოლოგიური და ინდუსტრიული ინოვაციები, რასაც განვითარებული ევროპული ქვეყნები და აშშ აღწევენ.

მინდა გამოვყო იაპონია, რომლის ეკონომიკის რეფორმირების მოდელის თავისებურება მდგო-



მარეობს იმაში, რომ ყოველწლიურად ქვეყნიდან გადინებული კაპიტალის მოცულობა (ინვესტიციები სხვა ქვეყნებში) შეადგენს დაახლოებით 80-100 მილიარდ აშშ დოლარს. 2014 წლის მონაცემებით ის მეოთხე ადგილზეა და 113 მილიარდ დოლარს მიაღწია ჩადებულმა ინვესტიციამ, ხოლო უცხოეთიდან შემოდინებული ინვესტიციით ის ოცეულშიც კი არ არის - 2 მილიარდი აშშ დოლარით. ამასთან, მხოლოდ ერთი თაობა დასჭირდა იაპონიას, რათა გამხდარიყო მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა. ეკონომიკის მაღალი ტემპები ხელს უწყობს ინვესტიციების მაღალი ტემპების შენარჩუნებას. დღეს იაპონიის ბანკების წილად მოდის აზიის 500 უდიდესი ფინანსური დაწესებულების აქტივების 3/4-მდე. 5 იაპონური ბანკი შედის მსოფლიოს უმსხვილეს 30 ბანკებს შორის, მათი საერთო აქტივები 8 ტრილიონ აშშ დოლარს უტოლდება, (2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობა, უდიდესი იაპონური ბანკის „მიტცუბიში ფინანშალ გრუპის“ აქტივები 3 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

განსაკუთრებით საინტერესოა საინვესტიციო პროექტების მართვის პრაქტიკა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით დიდ ბრიტანეთში, სადაც უცხოური ინვესტიციების თანხა 50 მილიარდი აშშ დოლარიდან (1986 წ.) 171 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა (2007 წ.), ხოლო 2014 ში შეადგინა 72 მილიარდი. დიდი ბრიტანეთის ამონაგები უცხოური ინვესტიციებიდან საკმაოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც.

ბრიტანეთისგან განსხვავებით გერმანია ინვესტორად გვევლინება ვიდრე ინვესტიციის მიმღები, 2014 წელს გერმანიის ეკონომიკაში უცხოელმა ინვესტორებმა მხოლოდ 1.8 მლრდ. აშშ დოლარი დააბანდეს, როცა გერმანიის კაპიტალდაბანდება უცხოეთში შეადგინა 112 მლრდ. აშშ დოლარი. გერმანიისთვის პირდაპირი ინვესტირების მთავარი უცხოური რეგიონი დასავლეთ ევროპაა (ქვეყნის საერთო ინვესტიციების 3/4). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე მოდის არა უმეტეს 12%-ისა. ამასთან, ყველაზე მეტი ფინანსური რესურსის დაბანდება ხდება ჩეხეთის, უნგრეთისა და პოლონეთის ეკონომიკაში.

„დიდი შვიდიანის“ ქვეყნებში მომდევნო ადგილებზეა კანადა და საფრანგეთი. კანადამ 52 მილიარდი, ხოლო საფრანგეთმა 42,8 მილიარდი დოლარი დააბანდა სხვა ქვეყნებში. კანადამ ინვესტიციების სახით მიიღო თითქმის იგივე თუმიცა საფრანგეთში ჩადეს მხოლოდ 15.1 მილიარდი. აღსანიშნავია რომ კრიზისამდე

2005-2007 წლებში საშუალოდ ორჯერ მეტი ბრუნვები იყო ორივე ქვეყანაში ორივე მიმართულებით. საფრანგეთის პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების გამოყენებით განხორციელებული უცხოური პროექტების მართვის სფეროში მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანა მიესალმება უცხოური კაპიტალის შემოდინებას. აღნიშნულს ხელს უწყობს ფრანგული პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა, ინვესტიციების ზრდა საზღვარგარეთ და ექსპორტის მნიშვნელოვანი მოცულობა. თუმცა, ახალი ინვესტიციების ყოველწლიური მოდინება უთანაბროა. ასე მაგალითად, თუ 1992 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 83,4 მლრდ. ფრანკს, მომდევნო ორი წლის მანძილზე იგი შემცირდა 57 მლრდ. ფრანკამდე, მაგრამ 1995 წლიდან დღემდე კვლავ გაიზარდა. ამჟამად, საფრანგეთში კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სხვა პროდუქტების გაყიდვების მოცულობის ზრდა წინ უსწრებს ეკონომიკური განვითარების სხვა მაჩვენებლებს. ამ სფეროში მიღწეულია ინვესტიციების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი. ინვესტიციები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების სწრაფ ზრდას, მასალებისა და ყველა სახის რესურსების ეკონომიასა და ტექნიკური სისტემების მუშაობაზე კონტროლის საიმედოობის ამაღლებას.

90-იანი წლების დასაწყისში უცხოური ინვესტიციების მსოფლიო ბაზარზე გააქტიურდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომელთა რიცხვშიც შედიან ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი).

პერსპექტივაში ექსპერტები ვარაუდობენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში როგორც პირდაპირი, ისე პორტფელური უცხოური ინვესტიციების შემდგომ მოდინებას, განსაკუთრებით ევროკავშირში შესვლის შემდეგ.

ამგვარად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით საინვესტიციო პროექტების მართვის გამოცდილების რეალიზება დასავლეთის ქვეყნებში დღეს ხდება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის, ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის სტადიაზე მყოფი პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირობებში. ზემოჩამოთვლილი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია დეტალურად დამუშავებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ყალიბდებოდა და რომელიც განსაზღვრავს სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეს, ასევე მოქმედი სამართლებრივი მექანიზმი და ეფექტიანად ფუნქციონირებადი საბაზრო სისტემა. კომპლექსურად,



ყველა ეს პირობა აუმჯობესებს იმ ზომების ეფექტიანობას, რომლებიც ხორციელდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვით განხორციელებული პროექტების მართვის ფარგლებში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვით პროექტების რეალიზების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სტრუქტურული გარდაქმნებისა და კრიზისის პერიოდში პირველ რიგში მდგომარეობის საწარმოების დაფინანსების წყაროებით უზრუნველყოფაში, მათ შორის, უცხოური ინვესტიციების სახსრებითაც.

დასავლეთის ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვით საინვესტიციო პროექტების მართვის გამოცდილებისთვის დამახასიათებელი ნიშანია მზარდი ინვესტიციების დაბანდება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში და თანამედროვე აღჭურვილობისა და ახალი ტექნოლოგიების შეძენაში პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. მაგალითად, უკანასკნელ წლებში აშშ-ში შეისწავლეს, თუ რა გავლენას ახდენს მიღწეული ტექნოლოგიური დონე საერთაშორისო ბაზარზე სხვადასხვა ქვეყნების მონაწილეობაზე. შედეგად დადგინდა პირდაპირი კავშირი სამეცნიერო კვლევებზე გახარჯული ინვესტიციების მოცულობას, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის რიცხოვნობასა და მიღწეულ

ტექნოლოგიურ დონეს შორის სხვადასხვა ქვეყნებში. ქვეყნებში, რომლებმაც დიდი ინვესტიციები დააბანდეს მეცნიერებაში, წარმოების ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა იყო უფრო მაღალი.

დასკვნა

სამრეწველო ქვეყნების პოზიციები, როგორც კაპიტალის ექსპორტიორებისა, დღესდღეობით მუდმივად მტკიცდება, რაც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზრებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ უცხოურ ქვეყნებში საინვესტიციო პროექტების მართვის გამოცდილება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ცხადყოფს, რომ ინვესტიციების როლი, მათ შორის, უცხოურისაც, ეკონომიკის განვითარებაში გადამწყვეტია უმთავრესად ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, როდესაც დღის წესრიგში დგება არა წარმოების ევოლუციური განვითარების, არამედ ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის ოპერატიული ზომების გამოყენების საკითხი.

სახელმწიფოს ძირითად ამოცანას ასეთ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს მაკროეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც უკავშირდება მატერიალური წარმოების სფეროში დაფინანსების ყველა შესაძლო წყაროს მოსაზიდად ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაეროს საერთაშორისო კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებისთვის. UNCTAD, FDI/TNC database (www.unctad.org/fdistatistics).
2. სიჭინავა ა. - ინვესტიციები. თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა, - თბ., საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2010, - 350 გვ.
3. ქოქიაური ლ. - საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა. - თბ., 2007. - 334 გვ.
4. Financial Institutions, Markets and Money - David S. Kidwell, David W. Blackwell, Copyright ©2006, John Wiley and Sons Inc.

5. www.oecd.org - global foreign investment trends, country investment guides, investment reviews, analysis.
6. www.columbia.edu/cu/libraries/indiv/business/guides/fordinv.html - a wide range of links to statistical information on global foreign direct investment.
7. www.doc.gov - U.S Department of Commerce website contains a wealth of information on industrial trends, overseas investment statistics, etc.
8. www.ita.gov - USDOC International Trade Administration - foreign/global industry studies, export statistics.



THE INVESTING PROCESS ANALYZE IN FOREIGN INVESTMENT PROJECTS

ALEKO QUTATELADZE

GTU- Professor

E-mail: a.qutateladze@banklabonline.com

TEMUR MATUA

GTU – Doctoral

Summary

FDI is playing tremendous role in the development of the global business. It can bring to state or private entities new financial resources, new markets, new opportunities, access to new technologies and lowering cost. FDI is the key for both countries: Investor and beneficiary to new opportunities to modern way of management skills, obtaining know-hows, way to success and it brings incredible input for economical development of the countries.

FDI is the crucial factor for development of globalization, it destroys geographical borders and frames and in this stream there arises a profit, a return of investment for both investor and beneficiary of the investment. The development of Investment activities helps to improve or modify the legal frames of different countries, it helps to lower tariffs and liberalization of law and less involvement of the state in the private business.